№ 81

ოთხშაბათი, 19 აპრილი 1895

1877—1895

# ივერია

№ 81

ოთხშაბათი, 19 აპრილი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**მართა კეტოს ასული კვიკვიძისა, ალექსანდრე ლუარსაბის ძე კვიკვიძე და სვიმონ საჩინოს ძე კვიკვიძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა: პირველი მეუღლისა, მეორე მამისა და მესამე ძმისა პორუჩიკის ლუარსაბ საჩინოს ძის კვიკვიძისას და სთხოვენ მობრძანდნენ 1 გონჩაროვის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში № 18, საიდგანაც მიცვალებული განსვენებული იქმნება ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში 20 აპრილს, საათის ცხრაზედ. პანაშვიდები გარდახდილ იქმნება ყოველ-დღე საღამოს 7 საათზედ.

(2—1168—2)

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ **დანიშნულია 7 მაისს.**

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს **კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21).

## ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვგმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

(15—„)

### ივერიის რედაქციისაგან.

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერლებს, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ, ვისაც ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, პირველს მაისამდე კიდევ უნდა წარმოადგინოს ფული, თუ სულ არა, რამდენიმე მაინც.

**ტფილისის** გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი აუწყებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ მაისის ექვსს, დილის ათს საათზედ, შესდგება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. კრებას განზრახვა აქვს განიხილოს: ა) შეძენა არწრუნისეულის მამულისა; ბ) სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის სახელმწიფო განყოფილების ორის წევრისა და მათის კანდიდატების ამორჩევა; გ) სჯა-ბაასი ოძისის მამულის შესახებ, რომელიც აჩუქა თავადმა ზაქარია ერისთავმა თავად-აზნაურობას და დ) ტფილისის თავად-აზნაურობის სადგილ-მამულო ბანკის წარმომადგენლობაზედ.

(3—6—1)

ქალაქ ტფილისის საბჭო ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ტფილისის გუბერნატორმა 13 აპრილს 1895 წელს დაამტკიცა ტაქსა, რომლითაც ვოკზალიდან ქალაქში წამომსვლელნი ფაეტონში გადაიხდიან 60 კაპ. თხუთმეტის შაურის მაგიერად, რომელიც დღემდის ერთმევოდათ.

(3—6—1.)

### ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 19 აპრილს, 1895 წ.

ქართულის ამხანაგობის დასისაგან კ. მესხის, ვ. აბაშიძის, ვ. ალექსიევ-მესხიევისა და ქ-ბ. ავალიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

## და-ძმა

ისტორ. დრამ. 5 მოქ. ვ. გუნიასი

ოტია ჯოლიას როლს შეასრულებს კ. მესხი, გაიოზისას—ალექსიევ-მესხიევი და მარინესას—ქ-ბ. ავალიშვილისა

II

## არც იქით, არც აქეთ

ვოდ. 1 მოქ,

მონაწილეობას ღებულობენ: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილის, კ. მესხი, ვ. აბაშიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია შეგირდებისათვის ადგილები ლოჟების უკან 60 კაპ.

დასაწყისი სწორედ $8^{1}/_{2}$ საათზედ.

ადმინისტრატორი ვ. გუნია — რეჟისორი ვ. ალექსიევ-მესხიევი

საქველ-მოქმედო წარმოდგენა გადაიდო 8 მაისისათვის.

## ახალი ამბავი

*** საქველ-მოქმედო წარმოდგენა, რომელიც დღეს უნდა ყოფილიყო, გადაიდვა 8 მაისისათვის. დღეს-კი ქართული დასი წარმოადგენს ვ. გუნიას პიესას „და-ძმა“-ს, რომელშიაც ოტია ჯოლიას როლს შეასრულებს კ. მესხი, ხოლო ვოდევილის „არც იქით, არც აქეთ“-ის უმთავრესს როლს შეასრულებს ვ. აბაშიძე.

*** ამ ორის წლის წინად წარდგენილი იყო წესდება ტფილისის სახლების ამშენებელ ამხანაგობისა. ეს წესდება უკანვე დაუბრუნდათ მის შემადგენლებს, რადგანაც ძირითადი თანხა, 30 ათასი მანეთი, მცირე გამოდგა. ამხანაგობამ კვლავ წარადგინა წესდება და ძირითად თანხად დანიშნა 100 ათასი მანეთი. კავკასიის უმაღლესმა მმართველობამ, შეიწყნარა ეს თხოვნა და წარუდგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც ამ ახლად დაწყებულს საქმეს დიდის ყურადღებით მოჰკცევია და მოუწონებია-რა, შემდეგ გადაუცია საფინანსო სამინისტროში, რომელიც, გაზ. „ნოვოე ობოზრ.“-ს სიტყვით, თხოულობს, რომ ძირითადს თანხას კიდევ მოუმატონ 200 ათასი მანეთი. ვსთქვათ, შეიძლო ამხანაგობამ როგორმე დააკმაყოფილოს ფინანსთა სამინისტროს ბრძანება, მაგრამ ვინ იტყვის იმას, რომ ხუთას ათასამდე სხვა სამინისტრო არ წაიყვანს მოთხოვნილებას?!

*** საერო განათლებისა და სამეურნეო, და სამიწად-მოქმედო სამინისტროს წარმომადგენლის მიერ, კავკასიაში შემუშავებულია პროექტი, რომლითაც ამ ახლო მომავალში ორი სარძეო სასწავლებელი იქმნება დაარსებული კავკასიაში: ერთი ბორჩალოსა და მეორეც ახალციხის მაზრებში.

*** როგორც გავიგეთ, სამეგრელოში ერთის საპატიო ადამიანის ოჯახში აღმოჩენილა ძველი ხელთნაწერი წიგნი ანტონ ჭყონდიდელის (XVIII საუკუნისა) ქადაგებანი. წიგნი შესდგება ოთხის ნაწილიდგან. ეს იშვიათი წიგნი უკვე შეუძენია ბ-ნ კოწია თავართქილაძეს და დაბეჭდვა განუზრახავს.

*** ქუთაისი: აღდგომის დღესასწაული-კი უსიამოვნოდ გავატარეთ უამინდობის გამო, მაგრამ ეს ერთი კვირაა, რაც ნამდვილი გაზაფხულის დღეები სდგას.

*** ჩვენი ცნობილი მსახიობი კოს. ყიფიანი შესდგომია ლიპპერტის თხზულების „Исторія культуры“-ს თარგმნას და გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ სხვამ აღარ მოჰკიდოს ხელი ამ წიგნის თარგმნას.

*** ჩვენ მივიღეთ შემდეგი დეპეშა ქუთაისიდგან: „ახლად გარდაცვალებულის მწერალის ქალის კნეინა ბარბარე ჯორჯაძის ნიჭის პატივის მცემელნი 17 აპრილს შევიკრიბენით საკათედრო ტაძარში და პანაშვიდი გადავიხადეთ. უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით გადასცეთ გარდაცვალებულის მახლობელთ ჩვენი უგულითადესი სამძიმარი.“

*** ამ წელს აბრეშუმის ჭიის კვება კავკასიის ყველა კუთხეებში ვერ იყო რიგიანი. მიზეზი ამისი ის იყო, რომ უდრო-უდროოდ დამდგარმა სითბომ ხის ფოთოლი გამოიტყუა, მერე მოულოდნელი სიცივეები დაიწყო, ზოგგან თოვლიც-კი მოვიდა და, რასაკვირველია, ჭიის საკვებ ხეებსაც, როგორც სხვებს, ფოთოლი გაუფუჭდათ. ამის გამო ბევრგან ახლად გამოჩეკილი ჭია სრულიად დაიხოცა. თუ ამისთანა შიგჭრელი ამინდები გაგრძელდა, წელს აბრეშუმის ჭია შესამჩნევლად დაზარალდება („კავკაზი“).

*** გაზ. „ნოვოე ობოზრენიის“ სიტყვით: სამიწათ-მოქმედო მინ-

## ფელეტონი

### მუშათა უსაქმობა ევროპაში.

წელს დასავლეთს ევროპაში სუსხიანი და ხანგრძლივი ზამთარი იყო, რამაც ძლიერ შეაწუხა ის აუარებელი მუშა, რომელთაც ახლანდელის მრეწველობის კრიზისის გამო სამუშაო ვერ უშოვიათ. გაჭირვება მეტის მეტი ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება, მთავრობა, მუშათა დაწესებულებანი ხელს უწყობდნენ გაჭირვებულთ. მრავალ მუშათა უსაქმოდ დარჩენა ახალი ამბავი არ არის, რასაკვირველია, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ წრევანდელი ზამთარი მეტად ძნელი იყო, გაამწვავა და და უფრო აგრძნობინა მუშათ მათი უნუგეშო მდგომარეობა. ჟურნალ-გაზეთებმაც მიაქციეს ყურადღება ამ ამბავს და, რაც ყოველისფერზედ უფრო საგულისხმიეროა, უწინდელსავით აღარ გაიძახიან, რომ უსაქმო მუშათა ამ გვარი გაჭირვება მუშათა უზრუნველობისვე ბრალია— რად არ ინახვენ შავის დღისათვის ფულსაო? დღეს ამას აღარავინ გაიძახის, ზოგიერთი ხავს მოკიდებულ ეკონომისტთა გარდა. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ მუშა ვერაფერს გადასდებს შავის დღისთვის, რადგანაც მისი ყოველ-დღიური შემოსავალი ძლივს-ღა ჰყოფნის დღიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლადაც. მეორეს მხრივ, დღევანდელის წარმოების წეს-რიგის გამო, ყოვლად შეუძლებელია მრავალი მუშა უსაქმოდ არ რჩებოდეს. წარმოებაში მეფობს სრული ანარქია. მრეწველობა არ იცის, რამდენი მოთხოვნილებაა რომელიმე ნაწარმოებისა, საქონლისა; ამზადებს იმდენს, რამდენიც წინა წლებში იყო საჭირო, მაგრამ ბოლოს გამოდგება, რომ ამ ნაწარმოებს წელს ის გასავალი აღარ აქვს, რაც წინად ჰქონდა; ბაზარი იტვირთება გაუსყიდველის საქონლით, ხოლო მრეწველ-მწარმოებელი ამცირებს წარმოებას, თავისის კაპიტალისთვის სხვა საქმეს ეძებს და აუარებელ მუშათ უსაქმოდ სტოვებს. ახლა ევროპაში ამგვარი კრიზისია და ამიტომ უსაქმო მუშათა რიცხვმა მეტად იმატა. იმ დროს, როდესაც საზოგადოება სხვა-და-სხვა საშუალებას ხმარობდა მუშათა გაჭირვების შესამსუბუქებლად, მწერლობა ცდილობდა აღმოეჩინა წამალი ამ სამწუხარო სენის წინააღმდეგ, მაგრამ ყოველი მისი საშუალება პალიატიური იყო, რადგანაც იცოდენ ძირითადი მიზეზი ამ მოვლენისა. შემდეგ, როდესაც გაიგეს, რომ ამ მოვლენის მიზეზი სძევს თვით ახლანდელს ეკონომიურს წეს-წყობილებაში და შედეგი არის წარმოების ანარქიისა, მეცნიერნი და საზოგადო მოღვაწენი მიხვდნენ, რომ სანამ დღევანდელი ეკონომიური ფორმა არსებობს, მუშათა უსაქმოდ დარჩენის წინააღმდეგ ვერას მოვიგონებთო.

წელს მეტად გახშირდა თავის კვლავ მუშათა შორის, მთელის ოჯახით ეთხოვებოდა მუშა წუთი-სოფელს, შიმშილითაც იხოცებოდა ხალხი; საქველ-მოქმედო საზოგადოებანი ვერ ასდიოდნენ მრავალ გაჭირვებულთ დახმარებას. ამგვარმა მდგომარეობამ კვლავ აღძრა მწერლობაში ბაასი, მაგრამ ახლა უკიდურესი ბურჟუაზული ჟურნალებიც ვერ ბედავს იმის თქმას, რომ მუშათა სამწუხარო მდგომარეობა მათთვე უნდა დაჰბრალდეს, რადგანაც თავ-შენახული არ არიანო და სხვა. პირიქით ახლა სულ სხვა ხმა ისმის ბურჟუაზულ ლიტერატურაშიაც. ვნახოთ, მაგალითად, რასა სწერს ამ. საგნის შესახებ ინგლისური „Cantemporary Review“. მუშათა უსაქმოდ დარჩენა მხოლოდ ერთი და კერძო გარემოება არისო, ამბობს ჟურნალი, იმ საზოგადო ეკონომიურის წეს-წყობილებისა, რომელსაც კაპიტალისტურს ვეძახითო. თუ ის გაგვიხდა დღეს საფიქრებლად, რად რჩება დიდძალი ხალხი უსაქმოდ, აგრეთვე უნდა დაგვაფიქროს ბევრმა სხვამ. რად არის, მაგალითად რომ აუარებელი სახნავ-სათესი ადგილი არსებობს ქვეყანაზედ, ამ ადგილზედ შესანიშნავი მოსავალი მოდის, დიდი ნაწილი ამ მოსავლისა ლპება ხოლმე სწორედ იმ დროს, როდესაც მილიონი ხალხი გამწარებული ებრძვის შიმშილს?! რად არის, მაგალითად, რომ მილიონს კაცს ერთის დაგლეჯილ, თითქოს დამპალ პერანგის მეტი არა აქვს-რა ტანზედ სწორედ იმ დროს, როდესაც ათასს და ათიათას მწარმოებელს ვაჭარს ხელში უჟრიათ აუარებელი პერანგი და არ იციან, ვის მიჰყიდონ?! რად არის, მაგალითად, რომ ქვა-ნახშირის მწარმოებელთ ხშირად არ იციან, სად გაასაღონ აუარებელი ქვა-ნახშირი სწორედ იმ დროს, როდესაც მილიონი ხალხი სიცივისაგან იხოცება?!

ლამდა.

ისტრს კავკასიის სასწავლებელთა მზურუნველის იანოვსკისათვის მიუცია წინადადება, ჯილდო დაენიშნოთ იმ სოფლის მასწავლებელთა, რომელნიც ბეჯითად ეკიდებოდნენ სოფლად მეურნეობის გაუმჯობესებას და აგრეთვე სთხოვს წარუდგინოს იმ მასწავლებელთა სახელი და გვარი, რომელნიც აქნობამდის ამ მხრივ ილვწოდნენ ამ ასპარეზზედ.

⁂ სიონის ზემოდ არის ქართველთა ეკკლესია, რომელსაც ეწოდება: იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერი. ეს ეკკლესია ქართველთა მეფეებს გაუკეთებიათ V—VI საუკუნეში და გაუმშვენიერებიათ მრავალის შეწირულებით. დღეს ეს ეკკლესია მონასტრად ირიცხება და ეკუთვნის იერუსალიმის ბერძენთა პატრიარქის გამგეობას. მას განაგებს ბერძნის არქიმანდრიტი და რადგან ამ ეკკლესიას ქართველი მრევლი ჰყავს, ამიტომ აქ წირვა-ლოცვა ქართულს ენაზედ სრულდება.

ამ ეკკლესიას დიდ-ძალი მამულები აქვს ტფილისს, ქართლსა და კახეთში ქართველ მეფეებთაგან შეწირული და მონასტერს კარგი შემოსავალი აქვს ამ მამულებიდგან, მაგრამ ეს შემოსავალი საბერძნეთში იგზავნება.

თითონ ეს ძველი ნაშთი-კი ერთობ სამწუხარო მდგომარეობაშია ჩავარდნილი: გუმბათს რიგიანი ყავრული არ ადგია და სხვაგვარადაც ბევრ-რიგად არის შერყეული და შემუსრვილ-შეკონკილი. ამ ძველის-ძველის ტაძრის საქმე თუ ასე წავიდა, ადვილად შესაძლებელია, რომ იგი ძალიან მალე სრულიად შეიმუსროს.

განა სამწუხარო არ არის ასეთის ნაშთის ამ ყოფაში ჩაგდება, რომელსაც წელიწადში 30,000 მანეთამდე შემოსავალი აქვს? რიგი და სამართალი მოითხოვს, რომ ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს ბერძნის არქიმანდრიტმა და ერთის წლის შემოსავალი მაინც თვით მონასტერსვე მოახმაროს...

⁂ ერთს შემაძრწუნებელს ამბავს გვწერენ შორაპნიდგან: იქაურს ექიმს იქაურს მაზრის ექიმს 14 წლის რუსის გოგო ჰყოლია ჩამოყვანილი პოლტავიდგან, რომელიც ამ ორის კვირის წინად უეცრად გარდაცვლილა. ექიმს მეორე დღესვე დაუსაფლავებია მიცვალებულის გვამი. ამ სიკვდილმა ხალხში ეჭვი აღძრა და ეს ეჭვი იმ ზომამდე გაძლიერდა, რომ ექიმს გამოჰკითხეს მიზეზი გოგოს სიკვდილისა. ექიმმა განაცხადა, რომ გოგოს დურბლის ქარები სჭირდა, თანაც ანთება დაერთო და იმით მოკვდაო. მაგრამ პროკურორმა მაინც საჭიროდ სცნო გარდაცვალებულის გვამი საფლავიდგან ამოეღოთ და შეემოწმებინათ.

სხვა ექიმების შემოწმებამ აღმოაჩინა, რომ გოგო ცემისაგან იყო მკვდარი. საბრალოს გვერდები დამტვრეული აღმოაჩნდა და მრავალგან სხეულში ჩაგუბებული ჰქონდა სისხლი. როდესაც გოგოს პატრონს ექიმს ჰკითხეს: რა შუაშია აქ ან დურბლის ქარი და ან ანთებაო, მან ასე უპასუხა: შევცდიო.

⁂ დ. ლანჩხუთი: ამ ჟამად დიდს დროს გატარებაში არის აქაური ახალგაზდობა. დღემდე თუ ორი არლინი იყო ჩვენს დაბაში, ახლა რამდენიმე არფიანკებიც მოემატა, რის გამოც ბევრი უწესოება და ტაცება ხდება. საჭიროა, ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

⁂ ს. დიდი-ჯიხაიში, (ქვემო იმერეთი): 5 აპრილს აქაურმა ორკლასიან სასწავლებელში ბ. ბ. მასწავლებლების თაოსნობით გამართული იყო სალიტერატურო და სამუსიკო სალამო, რომელსაც დღესწრნენ ჩვენის სოფლის წარჩინებულნი და ბავშვების მშობლები; ადგილების ბილეთები უსასყიდლოდ იყო ადრევე დარიგებული სტუმართათვის. თუმცა ძლიერ ცუდი ტაროსი იყო, მაგრამ ხალხი მაინც დიდ-ძალი დაესწრო და ბევრიც ისიამოვნა. დიდის მადლობის ღირსნი არიან აქაური მასწავლებლები, მზრუნველნი სკოლისა და მუსიკის ხორო, რომელიც ამ ღამეს მცირე სასყიდლით მოვიდა და მით ხალხი გაამხიარულა.

⁂ იქიდგანვე: ჩვენსკენ ნამეტანი ცუდი ამინდებია. ხალხი სამუშაოდ ვერ გადის გარედ. სიცივეების მეოხებით ათას-გვარი ავადმყოფობა და მოარულები დადის. აქა-იქ ყვავილიც არის. კარგი იქნება, რომ ამცრელი ვინმე მოგვიშველოს, თორემ ეს დაუნდობელი ავადმყოფობა ბევრს იმსხვერპლებს. მერე ხომ იცით, როგორ გვეშინიან იმერლებს „ბატონებისა“ (ყვავილისა).

⁂ ქ. განჯა: საშინლად შეწუხებულნი ვართ აქაურის უსუფთაობის გამო. ქუჩები მუხლამდის ტალახით არის სავსე. მაგრამ რამდენადაც ჩვენ უსიამოვნებას გვანიჭებს ეს გარემოება, იმდენად ხელს უწყობს აქაურს მეეტლეებს ხალხის ძარცვაში. ნეტა, როდის გამოგვიჩნდება პატრონი და გულ-შემატკივარი?

## კორესპონდენცია.

**ქ. თელავი**, 14 აპრილი. ამ თვის თერთმეტში ღამე ჩვენს ქალაქში საშინელი მკვლელობა ჩაიდინეს, რომლის მსხვერპლად გახდა ცნობილი სოვდაგარი იაგორ ტერ-სარქისოვი. თორმეტს აპრილს დილით იგი იპოვეს თავისს სახლში მოკლული. საბრალოს 24 ჭრილობამდე ჰქონდა, 19 მცირე და 5 მძიმე; განსვენებული ძალიან მდიდარი კაცი იყო და, ეჭვს გარეშეა, რომ მკვლელობა გაძარცვის მიზნით არის ჩადენილი. ბოროტმოქმედთა საქციელი მართლა რომ მეტად გაბედული და წრეს გადასულია. მოკლულის სახლი ქალაქის ბაღის პირდაპირ სდგას, ე. ი. იმისთანა ალაგზედ, რომელიც უფრო მოძრავი და მკვიდრად დასახლებულია, ასე რომ ძალიან საფრთხილო იყო ამ საქმის აღსრულებაში მოყვანა. როგორც გამოკვლევიდგანა სჩანს, მკვლელობაში რამდენიმე კაცი იღებდა მონაწილეობას, რადგანაც ერთი ორი ვერას გახდებოდა; თითონ ტერ-სარქისოვი, თუმცა ხანში შესული იყო, მაგრამ მაინც მხნე და ჭარმაგი, ამასთანავე თავისთან ყოველთვის იარაღიც ჰქონდა ხოლმე; ამის გარდა რკინის ყუთს, რომლიდგანაც ფული უნდა იყოს წაღებული, ორი კაცი ჯერ ერთი ვერ გასტეხდა და მეორეც გარედ ვერ გამოიტანდა. როგორც ჭრილობებიდგან სჩანს, განსვენებული ძალიან უწვალებიათ, ალბად ჰკითხავდნენ: „სადა გაქვს ფული, ან გასაღები ამ ყუთისაო“ და რადგანაც ტერ-სარქისოვი, დარწმუნებული, რომ მას ცოცხალს არ გაუშვებდნენ, თუნდა ფულიც მიეცა, უარზედ იდგა, ამისათვის მეტად უწამებიათ პატარა დანის ყელში და გულში ჩხვლეტით. ის გარემოება, რომ არც კარებზედ და არც ერთს ფანჯარაზედ არაფრის ნიშანი არა სჩანს ან გატეხისა ან ძალად გაღებისა, იმ აზრს ჰბადავს, რომ ამ შემაძრწუნებელს საქმეში ვინმე შინაური კაცი იღებდა მონაწილეობას, რომელსაც კარგა სცოდნია სახლის მოწყობილება და ტერ-სარქისოვის ზნე-ჩვეულება.

ნიშან-დობლივ ჯერ ვერაფერი ითქმის, თუმცა ხალხში ათასნაირი მითქმა-მოთქმა ტრიალებს, რომლის სიმართლე-სიმტყუვნეს გამოძიება აღმოაჩენს, რასაკვირველია, თუ იგი წესიერს გზას დაადგა. იმედია, ჩვენი პოლიციაც ძალიან ეცდება და აღმოაჩენს ნამდვილს მომქმედებს ამ საზიზღარის მკვლელობისას, რომელმაც თავ-ზარი დასცა თელავის მკვიდრთ თავისის საზარელის ხასიათით. მოკლული ტერ-სარქისოვი მარტოდ-მარტო სცხოვრობდა თავისს სახლში, რომლის ერთი ნახევარი იმისს მოხუცებულს ძმას ეჭირა, მაგრამ სახლი იმდენად დიდია, რომ განსვენებულის ძმა ვერ გაიგებდა, თუ რა ხდებოდა იმის ძმის ოთახში.

ინ-ზენ.

—

**სოფ. ბაში**, (სამეგრელო). ბაში სამეგრელოს ერთი იმ სოფელთაგანია, სადაც ბლომად მოდის ყოველ-გვარი მოსავალი და, განსაკუთრებით, ჰხარობს ადგილობრივი ვაზი „იზაბელა“. ამ უკანასკნელს წლებში, როგორც ვიცით, სამეგრელოშიაც მოიპოვა ნიადაგი ფილოქსერამ და სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზების ავადმყოფობამ, რომლებმაც აქაური ვაზი საშინლად დააზიანეს, ასე რომ იმ ადგილებში, სადაც ამ ათის წლის წინად დიდ-ძალი ღვინო მოდიოდა, დღეს იქ მტევანი სანატრელად გამხდარა. ბაში რაღაც მანქანებით გადარჩენილა: აქ დღესაც მოდის კარგი ღვინო, რომელიც გვარიან ფასად სღდება ზუგდიდში. ბაშის მცხოვრებლები ვაზის გაშენებას ძალიან ეტანებიან და, ვისაც სამყოფი მიწა აქვს, მას ღვინო და სიმინდი ბევრი მოუდის, მაგრამ მიწის უქონლობის გამო ზოგიერთები ერთობ შევიწროებულნი არიან. ამისთვის ბაშელებთა შორის უფრო შევიწროებულთ გლეხთ, რიცხვით 50 მოსახლეთ, განუზრახავთ გადასახლება შავის ზღვის პირად მდებარე თავისუფალს ადგილებში და, როგორც გავიგე ნამდვილ წყაროებიდგან, ამ მოკლე ხანში კიდევაც გადასახლდებიან. კარგი იქმნებოდა გონიერ ბაშელებისათვის მიებაძათ სხვა-და-სხვა სოფლებში მცხოვრებს, მიწის უქონლობის გამო გალატაკებულს გლეხებს, რომლების უკიდურესს მდგომარეობას დრო არის მთავრობამაც მიაქციოს ყურადღება.

თუმცა ბაშს არა აქვს საკუთარი სასწავლებელი, მაგრამ ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა არსებობს სოფ. კორცხელში, რომლის საზოგადოებას ბაშიც ეკუთვნის. ამ სკოლაში, რომელშიაც მასწავლებლად დანიშნულია რუსი ე—ვი, გზავნიან ბაშელები თავიანთს შვილებს სასწავლებლად. მკითხველი, უეჭველია, წარმოიდგენს, თუ როგორ უნდა მიდიოდეს იქ სწავლის საქმე და რა ჯაფა ექნებათ პატარა მოწაფეებს, რომლებიც ნება—უნებლიედ იძულებულნი არიან ისწავლონ უცნობი ენა მუნჯურად—დედა-ენის დაუხმარებლად.

ამისთანა ყოფაში არიან დღეს აგერ ხუთი წელიწადია.

დიმ. ბ—ია.

—

**ს. ნიგოითი** (გურია), 13 აპრილი. „ივერიის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ეს პატარა საზოგადოება ნიგოითისა სკოლის საქმეში გაიყო ორ უთანასწორო დასად. საზოგადოების $^3/_4$-მა სასოფლო სასამართლოსთან აიშენა ცალკე მშვენიერი ქვითკირის შენობა, ხოლო მეორე ნაწილმა $^1/_4$-მა ძველს ნასკოლარზედ აიგეს საკმაოდ კოპწია ხის შენობა. დღეს ორსავე სკოლებში სწავლაა გაჩაღებული. ძველის სკოლის შენობა და ყველა ავეჯი, როგორც კუთვნილი მთელის საზოგადოებისა, გაიყვეს ერთმანერთში ორივე სკოლამ. დარჩა გაუყოფელი მიწა, რომელზედაც იდგა თითქმის 1876 წლიდგან ძველის სკოლის შენობა. ეს მიწა, სივრცით 2 ქცევამდე, თავად მაჭუტაძეების შეწირულება იყო, ვიდრემდის სკოლა იქნებოდა სოფ. ნიგოითში. დღეს ამ მიწამ ბევრი ალიაქოთი და დავიდარაბა ააყენა. საქმე იქამდე გამწვავდა, რომ მოითხოვა მაზრის უფროსის შიგ ჩარევა.

საზოგადოების $^3/_4$, რომელიც შესდგება თითქმის 260 კომლისაგან, ცხადია, მეტი ძალაა, ვინემ $^1/_4$, სულ რაღაც 60 კომლი. სამწუხაროდ ჩვენი სოფლის მოხელე პირებიც ამ მეტის ძალისაკენ გადაიხარნენ და აი ამ მოხელეთა გუნდმა და თითო-ოროლა სოფლის ,,ყლაპიებმა‘‘ ისე არივ-დარიეს საქმე, ისეთი შური და მტრობა დასთესეს ამ ორ დასად გაყოფილ მცხოვრებლებს შორის, რომ საჭირო შეიქნა მაზრის უფროსის მოწვევა. შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ თვით ხალხს იმის მეტი დანაშაულობა არა მიუძღვის-რა ამ საქმის გამწვავებაში, რომ ის ბრმად ემორჩილებოდა მოხელეებსა და ზოგ ,,ყლაპიებს‘‘, რომელნიც ოსტატურად მოქმედებდნენ საზოგადოების ინტერესების ნიღაბით პირადი ჟინის სისრულეში მოსაყვანად. ესენი ცხადად დაინახა ბ. მაზრის უფროსმაც, როცა 2 თებერვალს ის მოვიდა ამ საქმეების გამოსაძიებლად. აი საქმე რაში იყო.

რაკი ამ ორმა დასმა თავ-თავისთვის აიშენეს სკოლები და ყველაფერი საერთო კუთვნილება გაიყვეს, $^3/_4$-მა მოითხოვა უმცირესობისაგან ძველის სკოლის კუთვნილი მიწის გაყოფაც, რაზედაც უმცირესობა არ დაეთანხმა იმ უფლებით, რომ მიწა შეწირული იყო არა საზოგადოების სახელზედ, არამედ ნიგოითის სკოლის სახელზედ და რაკი სკოლა ისევ-ისე რჩებოდა ძველს ადგილზედ, მიწაც ამ სკოლის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ამავე აზრისა იყვნენ თვით შემწირველნიც მიწისა თავადნი მაჭუტაძენი, რაზედაც განცხადება მისცეს კიდევაც ბ. ალშიბაიას. რაკი ეს ასე იყო, მიწა აღარ შესულა გაყოფის პირობაში და ამ წლის იანვრის დამლევს ნიგოითლებმა იწყეს ამ მიწის ერთის ნაწილის შემოზღუდვა, რომ პირუტყვებს არ გაეფუჭებინათ ზედ ნარგავი ხეხილები, ხოლო მეორე ნაწილი გაშლილ მინდვრად იყო დღემდე და აგრევე დატოვეს. ეს არაკრად ეჭაშნიკა საზოგადოების ინტერესების ვითომდა დამცველს მოხელეებს. იმ დროს, როცა მუშები სკოლის მზრუნველების მზრუნველობით მუშაობდნენ, მოუხტა მათ მამასახლისი თავისის მრისხანე „უფლებით“ და უბრძანა მუშებს ხელი აეღოთ მიწის შემოზღუდვაზედ. გლეხებმა უარი განაცხადეს. მამასახლისმა მიჰმართა თავისის მკლავის ძალს, გამოსტაცა მუშებს იარაღი და გაუდგა გზას. გლეხებმა-კი მოიტანეს სხვა იარაღი და განაგრძეს დაწყებული საქმე იმ იმედით, რომ სიმართლე მათკენ იყო, მაგრამ ძვირად დაუჯდათ მათ თავიანთის ინტერესების დაცვა. მამასახლისმა შეადგინა ოქმი, აჰკიდა გულნაბადი როგორც მუშების თავმდგმურებს, სკოლის მზრუნველებს, ისე სხვა ათიოდე მუშას და გაუყენა დ. ლანჩხუთის გზას ბ. ბოქაულთან, როგორც მთავრობის მოწინააღმდეგენი. ბოქაულმა დააპატიმრა მუშები და მზრუნველები-კი წარუდგინა ოზურგეთში მაზრის უფროსს, როგორც აჯანყების მოთავენი. მაგრამ აღმოჩნდა რომ უსამართლოებას მოკლე ფეხები ჰქონია. მზრუნველნი იმავე დროს მოურავნი იყვნენ თავად მაჭუტაძეებისა, რომელთაც თავის-თავის შეურაცხყოფად მიიღეს ეს და იმავე დღეს გაემგზავრნენ ოზურგეთში და მეორე დღეს მაზრის უფროსი ბ. ალშიბაია ნიგოითში მოვიდა, სადაც შეუდგა საქმის ადგილობრივ გამოძიებას.

მერე, რა აღმოაჩინა ამ გამოძიებამ? ბევრი რამ, მკითხველო. ჯერ ერთი ისა, რომ ჩვენი სოფლის მოხელეების თავ-გასულობას უკიდურესობამდე მიუღწევია. გარდა ამისა, საიდამღაც გაყოფის პირობაში მიწის გაყოფაც აღმოჩნდა, აგერ გვერდზედ მიჩხეკებული, რაც წინად ნახსენებიც არ იყო; აღმოჩნდა ისა, რომ მამასახლისს არავითარი უფლება არ ჰქონებია სკოლის მზრუნველების დაჭერისა, როგორც მაჭუტაძეების მოსამსახურე პირთა; აღმოჩნდა, რომ ჩვენმა მოხელეებმა საბრალო ზღუდის მკეთებელი მუშები უბრალოდ დასტანჯეს ორი-სამი დღე „ვირის აბანოში“, ისიც სხვა სიზოგადოებაში, ექვსი ვერსტის სიშორეზედ; აღმოჩნდა, რომ ჩვენს „მოსე მწერალს“ ბევრი სიყალბე ჩაუდენია და ყოველგვარი განხეთქილება საზოგადოებაში ამ „მოსე მწერლის“ და მის დამქაშების ხელიდგან გამოდის; აღმოჩნდა ისიც-კი, რომ ხალხმა საჩივრები მიართვა მოხელეებზედ ბ. მაზრის უფროსს ორჯელ ერთის და იმავე ფულის გაწერითაობაზედ და სხვა-და-სხვა.

ბ. მაზრის უფროსი დიდის გულმოდგინეობით შეუდგა ამ დაკვანძულ-დახლართულის საქმის გამოძიებას.

დიმ. კალანდარიშვილი.

## სიტყვა მღ. იოანე შიუკაშვილისა.

პატივ-ცემულო კრებავ!

კაცის სიცოცხლე რომ სიკვდილით თავდებოდეს, მაშინ იმაზედ უუბედურესი არსება დედამიწის ზურგზედ აღარავინ იქნებოდა. არა, სიცოცხლე კაცისა სიკვდილით არა თავდება. კაცი შესდგება სულისაგან და ხორცისაგან, სული რომ განეშორება ხორცსა—ეს უკანასკნელი მიწად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქცევა, რომლისაგანაც მოღებულია იგი, ხოლო სული მიიქცევა ღმერთთან საუკუნო ცხოვრებისათვის. მეორედ, კაცი, სიკვდილის შემდეგაც, უკეთუ ღვთისგან მინიჭებულნი სულიერნი და ხორციელნი ნიჭნი იხმარა კეთილთა საქმეზედ საბედნიეროდ ხალხთა, ცოცხალია, როგორათაც ცოცხალნი არიან და იქნებიან საუკუნოდ მისნი კეთილნი საქმენი და ღვაწლნი ხალხთ ცხოვრებაში.

ზღვის ნაპირის კლდეებიდგან, ბუნების სტიქიონთა ძალის ზედგავლენისა გამო, იგლიჯებიან ქვანი, ცვივიან ზღვაში, იმტვრევიან და ქუცმაცდებიან, ზვირთნი ზღვისანი რეცხვენ—სჭამენ ამ ქვებსა და შემდეგ ინთქმებიან ზღვის უფსკრულში. ქარი გლეჯს ხის ფოთოლთა, მიაქვს შორს, ცვივიან მიწაზედ და მით პოხიერდება დედამიწის ნიადაგი; ქარიშხალი ძირიანად ჰგლეჯს დიდრონსა ხეებსა და ლპებიან მიწაზედ. მაგრამ არცა ქვა მოგლეჯილი კედლიდგანა და შთანთქმული ზღვის უფსკრულში, არცა კლდე, რომლისაგანაცა მოიგლიჯა ქვა, არცა ფოთოლი მოგლეჯილი ხიდამა, არცა ხე, რომლისაგანაცა მოიგლიჯა ფოთოლი და დალპნენ დედამიწის ზურგზედ—არ გრძნობენ ტანჯვასა. ტანჯვა-ვაებასა გრძნობენ ისეთი არსებანი, რომელნიც უფრო ახლო ნდგანან კაცთან თვისის ბუნებით. მაგრამ მათნი ტანჯვანი არიან პირადულნი; იგინი ტანჯვა-ვაებას წინად ვერ გრძნობენ, არცა ეშინიანთ მათი. ამათთანა ცხოველს არსებათა არ შეუძლიანთ წარსულნი ტანჯვა-ვაებანი წარმოიდგინონ და წინად გრძნობდნენ მათზედ შეწუხებასა; იგინი გრძნობენ მხოლოდ თვისს ტანჯვასა და არა სხვისასა. რამდენადაც ცხოველს არსებასა მინიჭებული აქვს ღვთისაგან მაღალნი და ძლიერნი ნიჭნი და გონებანი, იმდენად უფრო ღრმად და ძლიერად გრძნობს ტანჯვა-ვაებასა. კაცზედ გონიერი, შემკული მაღალის და ძლიერის სულიერის და ხორციელის ნიჭითა არ მოიპოება ქვეყანაზედ არცა ერთი ქმნილება, არცა ერთი არსება; კაცი არის გვირგვინი ქვეყნისა; კაცსა აქვს მინიჭებული ღვთისაგან უფლება შრომისა დედამიწის ზურგზედ, რათა მით დაიცვას თვისი არსება, აიცილოს თავიდგან ტანჯვა-ვაებანი, როგორც თვისნი, უმეტესად თვისთა მოყვასთა. მხოლოდ კაცს შეუძლიან ყოველთა ქვეყნიერთა არსებათა უმეტესად გრძნობდეს ტანჯვასაცა და ბედნიერებასაცა: კაცსა აქვს მინიჭებული ღვთისგან ის ღრმა და ფართო გრძნობანი, რომ იგი მზად არის იტვირთოს თვის თავზედ ტანჯვა-ვაება არა მხოლოდ თვისი, არამედ და უმეტესად ყოველთა სხვათა ცხოველთა არსებათა.

კაცის ქვეყნიერის ცხოვრების ხვედრად გამხდარან მრავალ-გვარნი ტანჯვა-ვაებანი; მით სავსეა სიცოცხლე კერძოდ კაცისა, მითი მდიდარია სიცოცხლე მთლად კაცობრიობისა. კაცისთვის ბედნიერება იქნებოდა, რომ მას შესძლებოდა არ ეგრძნო ტანჯვა-ვაებანი, ვერ ეგრძნო მისი ძალა და ზედგავლენა; მაგრამ მაშინ საჭირო იქნებოდა კაცს დაეხშო თვისს თავში აზროვნობა, დაეხშო და აღმოეხოცნა თვისში ცხოველნი გრძნობანი და უარ ეყო თვის არსებობაზედ, მაგრამ ამის აღსასრულებლად კაცს არა აქვს არცა ძალა, არცა შეძლება, არცა უფლება.

ყოველნი ტანჯვა-ვაებანი გამხდარან ხვედრად კაცისა მის სიცოცხლის დროს მისთვის, რომ კაცის არსებობა უსიცოცხლოდ შეუძლებელია, ხოლო სიცოცხლე კაცისა არის შრომა, რომლისთვისაცა იგი ჩნდება ქვეყანაზედა, როგორათაცა ჩნდება ფრინველი მისთვის, რომ უეჭველად იფრინოს. ხოლო შრომა კაცისა გამოიწვევს პირველად ტანჯვა-ვაებასა, მაგრამ მოვა დრო, როდესაც ამ შრომით გამოწვეულის ტანჯვა ვაების შედეგი—ბედნიერება განხორციელდება კაცის სანუგეშოდ. აი მხოლოდ ამისთანა შრომით სავსე სიცოცხლე არის ჭეშმარიტი სიცოცხლე, რომელიც არის მიმართული მხოლოდ კეთილისადმი, პატიოსნურის შრომისადმი, შრომისათვის ღვთის დიდებისა და მოყვასთა სარგებლობისადმი. ამასთანავე უნდა ვსთქვა, რომ ძალსა კაცსა მშრომელსა და კეთილ-ნაყოფიერებასა თვით შრომასა აძლევს სიყვარული შრომისადმი და მოყვასისადმი.

აი პატივცემულო კრებავ, მოკლედ წარმოთქმული ჩემგნით ამ წმ. ტაძარში ის ჭეშმარიტება, რომ დანიშნულება კაცის ქვეყანაზედ ცხოვრებისა არის შრომა, სიყვარული შრომისადმი, რომელსაცა თანა უძღვის ტანჯვა-ვაება და რომელშიცა მდგომარეობს სიცოცხლე და ბედნიერება კაცისა. ყოველნი ჩემნი მოსაზრებანი, თქმულნი თქვენ წინაშე დღეს, გამოიწვია ჩვენ წინ მდებარე კუბოში განსვენებულის კნ. ბარბარე ჯორჯაძის გვამმა. განსვენებული ესე ბარბარე, მეუღლე თ-ს ზაქარია ჯორჯაძისა, იყო ასული თ-დის დავით ერისთავისა, მამისა იმ ოჯახისა, რომელიც იყო ძველებურ ქართულ ზნე-ჩვეულებაზედ, წეს-წყობილებაზედ, სწავლა აღზრდაზედ და მიმართულებაზედ დაფუძნებული. იყო ასული იმ ოჯახისა, რომლის წევრნიცა იყვნენ მოყვარულნი და თავ-დადებულნი სამშობლო ენისა, ერისა, სჯულისა და მამულისა და რომელნიცა იყვნენ გამსჭვალულნი თავ-დადებულნი მის სიკეთისა და აღორძინებისათვის. ბედნიერება თუ უბედურება, სიკეთე თუ სიავე ოჯახის წევრთა შორის ყოველთვის და ყოველგან დამოკიდებული ყოფილა და იქნება ოჯახის მამაზედ: რაც იქნება მამა ოჯახისა, ისინი იქნებიან მისნი შვილნი, არ შეიძლება კეთილმა ხემ გამოიღოს ნაყოფი ბოროტი, არცა ბოროტმა ხემ გამოიღოს ნაყოფი კეთილი. დასამტკიცებლად ამა ჭეშმარიტებისა მიგითითებთ აწ ჩვენს კუბოში მდებარე კნ. ბარბარეს გვამზედ და სხვათა მისთა მამის ოჯახის წევრთა ზედა. ესე განსვენებული ბარბარე, აღზრდილი არა რომელსამე სასწავლებელში, არამედ ძველებურს ქართულს ოჯახში, შერაცხილია დღეს იმ მოღვაწედ ჩვენის ქართულის ლიტერატურის ასპარეზზედ გამოსულთ მწერალთა ქალთა გუნდთა შორის, რომელთაცა არ დაივიწყებს არცა ისტორია, არცა ერი, არცა მათი შრომა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ცოტად თუ ბევრად განათლებულს და მწიგნობარს ქართველსა კაცსა თუ ქალსა ეცნობება ესე ბარბარე მისის ნაწერებითა, რომელმაცა შეიტანა თუმცა მცირე წვლილი ქართულის მწერლობისა და ლიტერატურის სალაროში, მაგრამ ამ დროის ჩვენის ღარიბის მწერლობის და ლიტერატურისათვის მისი ღვაწლი ჩაითვლება დიდათა. რამოდენი შრომა და ღვაწლი ამ განსვენებულმა ბარბარემ დასდო ჩვენის მწერლობის აღორძინებლად, იმოდენა შრომა და ღვაწლი რომ შეეტანათ არამც თუ ჩვენს ქალებსა არამედ კაცებსაცა, ჩვენის მწიგნობრობის სალარო დღეს ისეთი ღარიბი არ იქნებოდა იგი, როგორსაცა ვხედავთ. შრომა, ტანჯვა-ვაება, სიყვარული შრომისა, რომელნიცა გამოიარა ამა განსვენებულმა ბარბარემ ჩვენის მწერლობისა და ერის სასარგებლოდ ბევრს არ რგებია ხვედრად ამ დროის ჩვენს არცა ქალსა და არცა კაცსა. ესე განსვენებული სულით და გულით ეძებდა შემთხვევასა, რიოაც-კი შეიძლებოდა და როგორც-კი შეიძლებოდა, შემწეობა აღმოეჩინა ყოველგვარის ქართულის მწერლობისა თუ ისტორიულის გამოურკვეველის კითხვების ასახსნელად, რომელსაცა გვიმტკიცებენ როგორც დაბეჭდილნი ამისნი შრომანი ქართულს სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთებში, აგრეთვე მრავალნი ხელთ ნაწერები, რომელნიც გადმომცა მე ასულმა ამა განსვენებულისამა მანანამ, რომელიცა ამ ჟამად იმყოფება ამ წმ. ტაძარში და შეუპყრია ღრმა მწუხარებას და აფრქვევს მწარე ცრემლთა თვისსა საყვარელსა დედასა. ესე განსვენებული ბარბარე არის ნაყოფი არა იმ სასწავლებელისა, სადაცა სწავლობენ და ითვისებენ გარდა სამეცნიერო საგნებისა სხვა-და სხვა ენებსა, საიდამაცა გამოსულნი ხდებიან „მოდების“ მონანი, რომელნიცა შრომასა და სიყვარულსა შრომისასა უყურებენ ზიზღითა.

ამა განსვენებულმა არ იცოდა სხვა და-სხვა უცხო ენები, არცა უსწავლია სასწავლებელში, მაგრამ მადლობელნი ვიქნებოდით და სასარგებლო იქნებოდა ჩვენთვის, რომ ნაათალი სარგებლობა მაინც მოეტანათ ჩვენის მწიგნობრობისა და ერისათვის ახლანდელთა სასწავლებლებში აღზრდილთა და მრავალთა უცხო ენებზედ მობაასეთ ჩვენს ქალებსა, რამოდენი სარგებლობაც შესძინა ამ განსვენებულმა ბარბარემ ჩვენს მწიგნობრობასა. იყო განსვენებული ესე ბარბარე მაგალითად შრომისა და სიყვარული მწერლობის ასპარეზზედ ახლანდელის სწავლა-განათლებით აღჭურვილთა ჩვენთა ქალთათვის; იყავით მბაძავნი, საყვარელნო დანო და შვილნო ჩემნო, ამა განსვენებულისა; დარწმუნებულნი იყავით, რომ თუ არა დედა-ენის ცოდნითა, თუ არა თვისის ერის, სჯულისა და მამულის სიყვარულით გამსჭვალულნი, თუ შრომის მოყვარულნი არ ვიქნებით, სიცოცხლე ჩვენი დაემზგავსება იმ სახარების მონასა, რომელმაცა მიიღო ტალანტი მაცხოვრისაგან და დაფლა მიწაში და მით გამოჩნდა ზარმაცი და უსარგებლო კაცი თავისთვისაცა და სხვისთვისაცა, რომელმაცა მიიღო ჯილდოდ საუკუნო ტანჯვა ჯოჯოხეთის უფსკრულში.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კნ. ბარბარევ.

14 აპრილი, 1895 წ.

## რუსეთის ცხოვრება.

—

როგორც ვიცით, განზრახულია ამ მოსპონ სოფლის ყრილობა და მის მაგიერ დანიშნონ სოფლის რწმუნებულთა კრებები. ამბობენ, რომ გუბერნატორების უმრავლესობამ უარჰყო რწმუნებულთა კრებები და ისევ სოფლის ყრილობები ამჯობინა.

—

როგორც უკვე ცნობილია, მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო შეეკითხა ერობათ, თუ როგორი ზომები უნდა ვიხმაროთ, რომ სასოფლო მეურნეობა გაუმჯობესდესო. ამის გამო გაზეთი „სან. პეტერბ. ვედ.“-ი ამბობს, რომ „ერობათა უმრავლესობამ ამგვარ საშუალებად დასახა გლეხების მამულების მომატება. ზოგი-კი ამბობს, რომ საგლეხო ბანკებს ხელი უნდა შევუწყოთო, ზოგი-კი უფრო მეტსა თხოულობს. იგინი იმ აზრისანი არიან, რომ სახელმწიფო მამულები შეესყიდოთ გლეხებს და ახალი სოფლები გაშენდესო“.

—

ვარშავის უნივერსიტეტის ერთ-ერთს კლინიკაში ერთს პროფესორს დაუნიშნავს რუსი ექიმი, მაშინ ექიმები პოლონელები მისულან პროფესორთან და განუცხადებიათ, რომ ჩვენ თუმცა ვყაბულობთ, რომ შენ რუსი პროფესორი კლინიკის უფროსი ხარ, მაგრამ იმას-კი ვერ მოვითმენთ, რომ რუსი ორდინატორი მოიწვიეთო. შემდეგ გამოუცხადეს, რომ უსასყიდლოდ ავასრულებთ ორდინატორის თანამდებობას და შენც პრაქტიკას გიშოვნითო, ოღონდ-კი კლინიკაში რუსი ორდინატორი ნუ იქმნებაო. მაგრამ პოლონელებმა ვერა გააწყეს-რა და რუსთან სამსახურს თავის დანებება ამჯობინეს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

როგორც მკითხველებმა იციან, რუსეთის, საფრანგეთისა და გერმანიის წარმომადგენლებმა საერთო პროტესტი განუცხადეს იაპონიას და მოსთხოვეს, რომ იაპონიამ უარი განაცხადოს ჩინეთის ტერრიტორიაზეო. ჯერ იაპონიას პასუხი არ მიუცია სამთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთათვის და გაზეთები იმის სჯაში არიან—რას იტყვის იაპონია წარდგენილ წინადადების შესახებაო. ამ საგანს „მოსკ. უწყებანიც“ უძღვნიან დღეს წერილს. გაზეთის ფიქრით იაპონია ვერც გაჰბედავს პირდაპირ უარი სთქვას წარდგენილს თხოვნაზედ და ვერც დაეთანხმება სამთა სახელმწიფოთა სურვილს. მოსალოდნელია, რომ იაპონია მოითხოვს ყველა სახელმწიფოთა კონგრესის მოწვევასაო. მაგრამ მოსკოველი გაზეთი წინააღმდეგია ყოველის კონგრესისა, რადგანაც კარგა ახსოვს, თუ როგორ მოტყუვდა რუსეთი ბერლინის კონგრესის დროს!

არავითარი კონგრესი ამ შემთხვევაში არ გვინდაო,—სწერს გაზეთი. თუ კონგრესი მოწვეულ იქმნა, აღმოსავლეთის საქმე უფრო აირ-დაირევა. ინგლისი თავის ინტერესებისათვის და უფრო გაუმაძღრობის მიზეზით, უთუოდ იაპონიას მიეკედლება. ავსტრია, იტალია და ოსმალეთი, ინგლისის მიხედვით, იაპონიას მხარს მისცემენ. ამგვარად რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ მძლავრი კავშირი შესდგება. რად უნდა გავიხადოთ სადავიდარაბოთ ასე კარგად დაწყებული საქმე?! არ გვინდა კონგრესი. იაპონიას შეუძლიან რუსეთის, საფრანგეთისა და გერმანიის ელჩებს აცნობოს თავისი პასუხი და მაშინ, ამ პასუხის მიხედვით, სამი სახელმწიფო თავისის საქმის გარდაწყვეტას შეუდგება. იაპონიამ ხელი უნდა აიღოს ჩინეთის ტერრიტორიაზედ, კორეს პროტექტორატზე და ჩინეთის საქმეებზედ გავლენის მოპოვებაზე კავშირის შეკვრით. იაპონია უნდა დაკმაყოფილდეს ზოგიერთ კუნძულების დასაკუთრებით და კონტრიბუციის აღებით. აი, ამაში გამოიხატება ჩვენი წინადადება. იაპონიას დარჩენია, პირდაპირ სთქვას—თანახმაა, ეს წინადადება მიიღოს თუ არა, კონგრესის მოწვევა კი სრულიად მეტი იქნებაო!

## უცხოეთი

—

**იაპონია.** იაპონიის მრეწველობის წინსვლა, ბრანდტის სიტყვით, გასაოცარია. უკანასკნელს წლებში იაპონიის მრეწველობამ მიაღწია ევროპიელთა კულტურულ სახელმწიფოთა მრეწველობის ღირსებამდე. ამას უნდა დავუმატოთ საქონლის იაფობა, რაც იაპონიას შეძლებას აძლევს თავისი საქონელი ჩინეთში გაასაღოს. იაფობა საქონლისა უნდა მიეწეროს მუშათა სიმრავლეს და სიიაფეს და იმას, რომ იაპონია ბაჟს არ ახდევინებს შეუმუშავებელ საქონლის შემოტანაში. მაგალითად, სულ მცირე ფასი ჯდება ბომბეიდგან იაპონიაში ბამბის გადატანა. ამიტომ იქ მრავალი ბამბის ფაბრიკებია. ქ. კანეგაუსში ერთს ფაბრიკაში 35 ათასი კაცი მუშაობს. მუშების სიიაფე და საქონლის მრავლად კეთება საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ იაპონიას შეუძლიან არამც თუ აზიის ბაზრები დაიჭიროს, არამედ თვით ევროპასაც სასტიკს კონკურენციას გაუწევს.

—

**ოსმალეთი.** რეიტერის სააგენტოს წარმომადგენელმა შემდეგ კარგა ხნის მოგზაურობისა საზღვარ-გარედ, როგორც თითონ ამბობს, აღმოაჩინა კვალი რევოლიუციისა, რომელსაც ამზადებენ სომხები წინააღმდეგ ოსმალებისა. რევოლიუცია მოხდება ერთის თვის შემდეგ. საზღვარგარეთიდგან სომხები ოსმალეთში ბრუნდებიან, რათა მონაწილეობა მიიღონ მომავალს ამბოხებაში. დიდძალი ფული არის შეწირული თოფწამლის შესაძენად. პირველად რევოლიუცია იფეთქებს სტამბოლში, დაეცემიან ხონთქრის სასახლეს. ვანის მხარეს 3,000 თოფია თურმე დამალული ჰენრი-მარტინის სისტემისა ოსმალეთის ჯარის კაცთა დახმარებით, რომელნიც ადვილად მოისყიდებიან, რადგანაც ჯეროვანს ჯამაგირს არ აძლევენ. სისულელე იქნება, ვიფიქროთ, რომ გაუწყობელმა ბრბომ დაამარცხოს გაწვრთნილი ჯარი. თუ ამბოხება სამს თვეს მაინც განეგრძო, შედეგი, რომელიც იმას მოჰყვება, მთლად შეარყევს ქრისტიანთა სახელმწიფოებს. ამასთანავე, რასაკვირველია, უფრო ქალები და ყმაწვილები შეიქნებიან უმეტეს ამბოხების მსხვერპლად. კიდეც ამისი იმედი აქვთ იმ ახალგაზდა სომხებს, რომელთაც სწავლა რუსეთში, ინგლისში და საფრანგეთში მიუღიათ.

მათი დევიზი ეს არის. „თავისუფლება“ ან „სიკვდილი“. რომ საქმე ამგვარად დატრიალდება, ეს მომეტებულ სომეხთა ნაწილს არ ესმის. მათ რომ იცოდნენ, რომ მათი ცოლ-შვილი შეწირულ იქნება სამშობლოს სამსხვერპლოზედ, მაშინ უარს იტყოდნენ და აღარ მიიღებდნენ მონაწილეობას ამბოხებაში.

—

**გერმანია**, 12 აპრილი. გაზეთ „Kölnische Zeitung“-ს მოჰყავს ჩინეთ-იაპონიის ხელ-შეკრულობის ზოგიერთი მუხლები: 1) ჩინეთი თავისუფალს ჰყოფს კორეს. 2) იაპონიას ეძლევა ნაწილი ნახევარ-კუნძულის ლაოტონგისა, თევზის კუნძულები და ფორმოზა. 3) ჩინეთი აძლევს 200 მილიონ ტალლეს, რომელიც უნდა გადაუხადოს 7 წლის განმავლობაში. ვიდრე ამ ფულს გადაიხდიდეს ჩინეთი, ვეი-ხაი-ვეი იაპონელების ხელში იქნება. 4) ჩინეთი ამიერიდგან ნებას აძლევს იაპონელებს ჩუნგ-კინისა, შიშისა და სუჩაუს ნავთ-სადგურებში შესვლისას. შემდეგ ამ ხელ-შეკრულობის სისრულეში მოყვანისა იაპონია და ჩინეთი ურთი-ერთს შორის მშვიდობიანობას უნდა სცდილობდნენ. ხელ-შეკრულობას ურთი-ერთს 27 აპრილს გადასცემენ. გაზეთ „Kölnische Zeitung“-ი ზემო მოყვანილ პირობათა ჭეშმარიტებას ეჭვ-გარეშეთა სთვლის და მით აქარწყლებს ინგლისის გაზეთების აზრს, რომ ვითომ ჩინეთი უთმობდა იაპონიას თავისის მიწა-წყლის შუაგულს ადგილს.

## უცხოეთის წვრილი ამბები.

—

ერთი ხელობა-ღა იყო დარჩენილი, რომელშიაც დედათა სქესი არ ერია. ეს ხელობა მეეტლეს ხელობაა, მაგრამ ლონდონში გამოჩნდა ერთი ახალგაზდა ლამაზი ქალი, რომელიც წინად მუსიკის გაკვეთილებით ცხოვრობდა და ახლა ამ ქალმა წინანდელი ხელობა მეეტლის ხელობაზედ გასცვალა. ვიღაცამ ჰკითხა ამ ქალს: არ გეშინიან რომ ურიგოდ მოგექცნენ მეეტლეებიო?

„პირ-იქით, უპასუხა ქალმა, ვიდრე მუსიკას ვასწავლიდი, უოველთვის შეურაცხყოფას მაყენებდნენ, ახლა-კი მათ-რახითა ვარ აღჭურვილიო.

—

რიცხვი სამუშაო დღეებისა წლის განმავლობაში ერთი არა ყოფილა ყველა სახელმწიფოებში. მაგალითად, რუსეთში 267 დღეს მუშაობენ, ინგლისში 278, ისპანიაში 290, ავსტრიაში 295, იტალიაში 298, ბავარიაში და ბელგიაში 300, საფრანგეთში და საქსონიაში 302, შვეიცარიასა, დანიასა და ნორვეგიაში 303, პრუსიაში 305, ჰოლანდიასა და ჩრდილო-ამერიკაში 308 და ვენგრიაში 312.

## ანეკდოტები ბისმარკის შესახებ.

—

ბისმარკს ძალიან უყვარდა მოსწრებული სიტყვა-პასუხი. ერთხელ იმპერატორმა მიანდო ბისმარკს ერთის ომში გამარჯვებულ ჯარის-კაცისათვის პირველის ხარისხის რკინის ჯვარი მიეცა. ბისმარკი დაეკითხა ჯარის-კაცს, არ გინდა ჯვარის მაგივრად ფულად მიიღო ასი ტალერიო. ჯარის-კაცი პატარა ხანს დაფიქრდა და ჰკითხა:

— ჯვარი რამდენი უნდა ღირდეს?

— სულ ცოტა, სამი ტალერი.

— მაშ თუ აგრეა, მომეცით ჯვარი და 97 ტალერიო, — უპასუხა ჯარის-კაცმა.

ბისმარკი ძალიან კმაყოფილი დარჩა ამ მოსწრებულის პასუხით, აილო, ჯვარიც მისცა და 100 ტალერიც და იმპერატორსაც აცნობა, ასე მოვიქეციო.

—

ერთხელ ომის დროს ბისმარკს ჰკითხეს, როგორ მოვეპყრათ შეპყრობილს საფრანგეთის ჯაშუშსაო. ბისმარკმა უპასუხა: „რაც შეიძლება ზრდილობიანად მოექეცით, მაგრამ მაინც უნდა ჩამოირჩოსო!“

—

ბისმარკი ამ აზრისა იყო: mens sana in corpore sano (საღს სხეულში საღი სულია). ის ამბობს: „თუ მსურს, ჩემი შრომა ნაყოფიერი იყოს, უთუოდ კარგად უნდა ვიკვებებოდე. თუ კარგად და მაძღრად არა ვსჭამ და ვსვამ, მე არ შემიძლიან სასარგებლო ხელ-შეკრულობა დავადგინო. ეს არის ჩემის ხელობის ერთი უპირველესი პირობა“.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ჩვენ მივიღეთ წერილი და ერთი თუმანი ფული ბ. მოსე კალანდარაშვილისაგან ნაწილი ვალის გადასახდელად. ვსარგებლობთ შემთხვევით და მოვაგონებთ სხვა ჩვენს მოვალეებს, წაჰბაძონ ამ კეთილს მაგალითს.

კიევის ქართველი სტუდენტები.

—

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ მღვდელ-მონაზონს ტფ. ფ.—ცვ. მონასტრისას მამა იოანეს, რომელმაც შემოსწირა სამი მანეთის სასწავლო ნივთები (რვეულები, ყარანდაშები, კალმები და სხვა) ღარიბ მოსწავლეთა დასარიგებლად და ყველა ჩემს მოწაფეს რაცხვით 40 ს დაურიგა თითო-ცალი წიგნაკი „ცხოვრებაო მოწყალე ფილარეტისა“.

აგრეთვე უგულითადესის მადლობის ღირსია ბ-ნი მ. ს. ნუნუფაროვი, რომელმაც ამ წელს ერთი საყენი დახერხილი შეშა შემოსწირა ტფ. ფ.—ცვ. მონ. სამრევლო სკოლას.

ტფ. ფერის-ცვალების ანუ დარიის მონასტრის სამრევლო სკოლის მასწავლებელი ონისიმე ივ. ქიკაძე.

18 აპრილი, 1895 წ.

ქ. ტფილისი.

—

თქვენის პატივცემულის გაზეთის 69 ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი ქუთაისიდგან ბ-ნ მ—ნისა. კორესპონდენტი მოგვითხრობს, რომ ვითომც ჩვენ საღორიის ტყის-მცველები საღორიის აგარაკებს დავპატრონებოდეთ და ჩვენ საკუთრებად გაგვეხადოს.

ეს ამბავი, გარდა იმისა რომ მოკლებულია სიმართლეს, გამოწვეულია ცილის წამებით. ის ახლად ჩამოსახლებულნი, რომლებიც ჩამოთვლილი ჰყავს ბ-ნ მ—ნს თავისს წერილში, დასახლნენ თავ-თავიანთის ნებით — ჩუმ-ჩუმად. ღამ-ღამით მიჰქონდათ გოგრებით პატარ-პატარა ქოხები და დილას უკვე სახლი იყო ხოლმე გამოჭიმული. სწორედ ამ აგარაკს ის დღე დაადგა, რაც ტფილისში ეგრედ წოდებულს „ანაძალადევს“. ამ საქმის თაობაზედ ჩემის მოსხენებით რამდენჯერმე გახლდათ უფროსი ზედამხედველი ამ აგარაკისა ბ-ნი დარასველიძე გამოიძია ეს საქმე და ამჟამად დანიშნული გახლავთ კომისია, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს მათი ბედი.

საღორიის ტყის მცველების უფროსი კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

18 აპრილი.

**პეტერბურგი**, ბუხარის საგანგებო დესპანნი დღეს ცარსკოე სელოში წავიდნენ. დესპანთ ძვირფასი საჩუქრები მიაქვთ ხელმწიფესა და დედოფალთან, სხვათა შორის სამკაულები ბრილიანტისა და სხვა ძვირფასის თვლებისა, ძვირფასი იარაღი, ფარჩა, შალი, ძვირფასი ბეწვი, ხალიჩები და ოთხი ძვირფასად შეკაზმული ცხენები.

არაბეთის ერთს პროვინციაში ხოლერა გაჩენილა.

პეტერბურგში ჩამოვიდა გერმანიის ელჩი თავადი რადოლინი.

**ოდესა**. „რუსეთის საზოგადოების“ გემი „კოცებუ“, რომელზედაც მოგზაურები არ იყვნენ, სევასტოპოლიდგან ოდესისკენ მიდიოდა 17 ს აპრილს; ტარხანკუტის ახლოს დაეტაკა სამხედრო გემი „პენდერაკლია“, „კოცებუ“ მაშინვე დაიღუპა; „პენდერაკლიამ“ 37 „კოცებუზედ“ მსახური გადაარჩინა, მათ შორის კაპიტანიც; დაირჩო სამი მსახური და ორი შემთხვევითი მოგზაური.

## „ივერიის“ ფოსტა.

—

ბ-ნს **„მებატონეთაგანს“**. რედაქცია არა კისრულობს ხელ-მოუწერელ კორესპონდენციების ბეჭდვას. თუ მაინცა-და-მაინც არ გინდათ დაბეჭდილ წერილს თქვენი ნამდვილი გვარი მოაწეროთ, რედაქციამ მაინც უნდა იცოდეს თქვენი გვარი და სახელი. ამის შემდეგ, თუ ინებებთ წერილების გამოგზავნას, გთხოვთ გვარი და სახელი მოაწეროთ ხოლმე.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ხ. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სხიროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ხ. ნავასარდიანი, 7—7½, საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპ. ... დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

გამოვიდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი:

## ცოდვა სიყვარულისა.

(Crime d' amour)

რომანი პოლ ბურჟესი, თარგმნილი გრ. ყიფშიძის-მიერ. ფასი 70 კაპ.

—

მზადდება დასაბეჭდად მის-მიერვე თარგმნილი წვრილ-წვრილი მოთხრობანი ევროპის საუკეთესო ბელლეტრისტებისა: ალფ. დოდესი, გიუდე-მოპასანისა, კატულ მენდესისა, ალექ. კილანდისა, მატილ. სერაოსი, ვიტტარიო ბერსეციოსი, ჯონ ვერგისა, ედმონდ დე-ამიჩისისა და სხვათა სიტყვა-კაზმულის მწერლობის ხელოვან ოსტატთა.

(5—3)

---

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების და ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში.

## საქართველოს ისტორია

შემუშავებული და შევსებული მოსე ბ. ჯანაშვილის მიერ.

მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა

ფასი 70 კაპ.

---

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!

## ჰიგიენური

ბორნო-ცეიმოეულის საპონი

## გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თვითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აგმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან.

(24—2—2)

---

**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

## დამზღვევი საზოგადოება „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან.

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო-ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუკეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

---

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 3) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემსაყუდელთა სადგურებზედ.

50—6—19


Дозволено цензурою, Тифлисъ 18-го Апрѣля 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე